ეროვნული ბიბლიოთეკა

22 მარტს (3 აპრილს.) 1868. № 12. მესამე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — — — 6 მან. |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — — — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 — 50 კ. | — — — 2 — |

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხნის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი:—ჩვენი ქვეყნისამბები.—„დროების“ კორრესპონდენცია.—პოლიტიკა.—ოსმალეთი.—შეერთებული შტატები.—ტელეგრამმები.—ბარდინერის პროცესი.—პოეტური გაკენწლვა. „ცისკრის“ რედაქციისადმი.—ლექსები:—ზაფხულს.—მეგრელს.

### ჩვენი ქვეყნის ამბები.

მიწის ძვრა ტფილისში. კვირას მარტის 17-ს 10 საათზე 53 მინუტზე და 22 სეკუნდზე მიწის ძვრა იყო ჩრდილოეთიდგან სამხრეთის მხარეს და განგრძელდა 20 სეკუნდი. მტკვრის მარჯვენივ ესე იგი მთაწმინდის და ნარიყალის მხარეს და აგრეთვე მარცხენა მხარეს ჩუღურეთის ადგილობას ძვრა საკმაოთ ძლიერი იყო, ვიდრე სხვა ადგილებში. იმავე დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე 3 მინუტზე და 24 სეკუნდზე ძალიან სუსტი და მოკლე ხნის ძვრა მოხდა. საღამოს 5 საათზე 27 მინუტზე და 26 სეკუნდზე უფრო ძლიერათ შეიძრა მიწა ისევ ჩრდილოეთიდამ-სამხრეთის მხარეს, უკანასკნელი ძვრა გრგვინვით იყო. (შუადღის ზარბაზნის სროლაზე დაყენებული საათი აჩვენებდა პირველ მიწის ძვრას მეთერთმეტე საათის 50 მინუტზე, მეორე იყო სწორეთ პირველ საათზე; მესამე—მეექსე საათის 24 მინუტზე).

გამოცხადებულია „კავკაზში“ რადგანაც ქუთაისის გზა გაკეთდა, ამისგამოთ ფოჩტის ეკიპაჟების სიარული გაიმართა ამ თვის 15 დგან ოთხშაბათობით, პარასკეობით და კვირაობით.

„კავკაზში“ სწერია:“ რაც კავკასის გზა (военно-грузинская дорога) გაკეთებულა, წრევანდელსავით წვალება არ გაგონილა მთებშია; ზვავებმა ისევ გზები დაიჭირა. აი რას გვაცნობებს უფ. დროზდოვსკი (დირეკტორი ფოჩტის ეკიპაჟების დაწესებისა), მიუღია ამ თვის 16 ბუდაურიდგან შემდეგი ტელეგრამმები: კობიდგან სტეფან-წმინდამდის (ყაზიბეგამდის) გზაზე სამი ზვავი ჩამოსულა, მიწის ზვავი მატობს; მლეთიდგან სტეფან წმინდამდის გზა შეიკრა. მთებში ავდარია, თოვლ-ქყაპია; კიდევ ზვავის ჩამოსვლას ელოდებიან.— მეორე ტელეგრამმა ამბობს: მლეთიდგან ბუდაურის მხარეს სამ ვერსზე მიწის ზვავი ჩამოვიდა და თან ჩაიტანა გზა არაგვში; ამის გამოთ. ტფილისის ფოჩტა დარჩა, მგზავრები პაიშაურზე მიდიან ქვეით სავალ ბილიკზედა, იქ მცხოვრებლების შემწეობითა.“

ამას უნდა დაუმატოთ, რომ ამ თვის 19-დგან ოცამდის გზა ყოფილა.

### სამოსამართლო ჩვენება.

ტფილისის სამოსამართლო პალატში სამოქალაქო დეპარტამენტში დღეს 22 მარტს დანიშნულია მოსახსენებლათ (დაკლადი) შემდეგი საქმეები კერძოობით ჩივილით შეტანილი.

1) ტიტულიარნი სოვეტნიკის ნაზარბეგოვისა 1 სამიჯნაო კომმისიაზე იმისი არჩის მიუღებლობაზე, რომ დაიფასონ ნაზარბეგოვის ბაღი მდებარე სალაბაშვილის მამულში.

და 2) აზნაური სვიმონ ჩივაძესი 1 სამიჯნაო კომმისიის მოქმედებაზე იმის მამულის გამიჯვნაში ხიდისთავის უჩასტკაში სოფ. თვალადს.

ტფილისის ოლქის (მაზრის) სასამართლოში სამოქალაქო განყოფილებაში 22 მარტს დანიშნულია მოსასმენათ საქმეები:

1) დავაზე საეკკლესიო უწყებისა გლეხებთან ჩაჩანიძეებთან მამულისა გამოთ ქარსანსა.

2) ტფილისში მდებარე სადავო ადგილზე მარიამ ბარათაშვილის თ. კოსტანტინე თუმანიშვილისა, ისაი ტერ-ღუკასოვისა, სულხან სულხანოვისა და საქართველო-იმერეთის სინოდის კონტორისა.

3) დავაზე ალალო და იოსებ მატინოვებისა მემკვიდრობაზე ბაღის ნაწილში, რომელიც უჭირავს იაგორ მატინოვსა.

4) სიღნაღის მოქალაქეთა ტერ-მათეუზოვისა, წყალობა და იოსებ ამირხანოვებისა, გასპარ შავერდოვისა, სტეფანე ლისინოვისა, მელქო მირაქოვისა და გეურქ სარქისოვისა ფულის ძიებაზე თავად დიმიტრი ივანეს ძის აფხაზისაგან.

### „დროების“ კორრესპონდენცია.

(შემდეგში)

მე მოვიყვანე მხოლოდ სირცხვილ-ნამუსის თავობაზედ და დღეს როგორც ვხედავთ სრულდება ჩვენზედ, რასაც წმინდა სახარება გვიცხადებს (წინანი უკან და უკანანი წინაო); მისთვის რომ, თუმცა ეს ვაჭკაცობის დროება თითქმის აღარც მუშაობს ჩვენს მხარეში, მხოლოდ არის საჭირო, რომ აწ ყოველი კაცი ეცადოს ხალხის განათლება და დაწინაურება; მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა ჯერეთ ისრეთი არავინ გამოჩნდა, რომ ისურვოს ხალხის წინ წაძღოლა და სარგებლობის მოპოვება. (*) უკეთუ ვინმე გამოზდილან ახალთაგანი, იმისი ხასიათი არის მხოლოდ თავის საკუთარი ინტერესი და არა საზოგადო; უკეთუ იყოს ისრეთი ღვთიური ვინმე, რომ გაუძღვეს ხალხს აქ შესაძლებელია რაოდენიმე სხვა და სხვა მუშაობის გამართვა სასარგებლოდ ხალხისა; აქ სხვა ქვეყნის კაცი, გრაფი რაზმორდუკი მოსულა და მას გაუმართავს დიდი სამუშაო ზავოდები, რომელზედაც თვითონ ჩვენი ქვეყნის ხალხი ჰყავს მუშათ დაქირავებული; მაგრამ იმ გვარათ ამუშავებს, რომ ხალხს არ შეუძლიან რამე საგანი გადიღოს იმ ზავოდისა და ისწავლოს რამ სასარგებლო თავის წარმატებისათვის; ან კი რათ უნდა იდარდოს ამაზე უცხო ქვეყნის კაცმა; მრთელს ჩემს დ ხსოვნებაში ერთი მაგალითი აჩვენა ხალხს თავადმა ერისთავმა. ღმერთმან უშველოს! იქმნება, რომ თვისის ინტერესისათვის იყო, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, ღმერთმან უშველოს! ამ ერისთავმა დაიბარა თუთუნის მაკეთებელი—თათრები და აკეთებინა სოფელს ბერეჟაულს ძლიერ კარგი თუთუნი და რაკი ეს მაგალითი დაინახეს საზოგადოებამ, შემდეგ გახშირდა თუთუნი გურიაში, ასრე რომ წელიწადში გამოვა გურიიდამ სამი ათას ფუთამდის და ისყიდება თვითოეული ფუთი ოთხიდამ ექვს მანეთნახევრამდის და ამ ღონის ძიებით ცოტაოდენი ფული მაინც ემატება ამ მხარეს. ეხლა უეჭველია რომ გაჩვენებენ, მკითხველო, ეს ჩემ მიერ დაწერილი მოთხრობები, თუ რის თაობაზედაც არის დაწერილი ეს მოთხრობები და მოყვანილი, და კვალადვე დავუმატებ, რომ ერთი ახალი ამბავი ჩემ მიერ გაგონებული დიდათ მასიამოვნებს, რომელსაც ამასთანავე გარდმოვსცემ „დროების“ მკითხველს; ამ წარსულ კვირაში მე შემხვდა მოგზაურობა სოფელს ბასილეთს ჩემის საჭიროებისათვის, სადაცა ჩემის გასავლელის გზის პირად იდგა სასოფლო კანცელარია, და რა მიუახლოვდი, რაღაც ხმიანობა მომესმა, რა რომ თვალი შევაქციე იმ ხმიანობის მხრითა ვნახე, რომ ხალხი იყვნენ შეგროვებული მათს კანცელარიაზე, ამ ნახვამ ცოტა მეც შემაყენა, რამდენიმე მინუტი აქ დავრჩი გაჩერებული და კიდევაც დაასრულეს მათი ხმიანობა და განიბნივნენ თავ თავის თვინ. რა რომ მახლობლათ ჩამოიველდენ, თითქოს, რომ ემჩნეოდათ იმათს პირის სახეს რაღაც სიხარულის ფერ-კრთომილება, ვითარ ერთსა და მეორეს, ეგრეთ სხვებსაცა; ამის მნახველმა მოვიწადინე შემეტყო საგანი მათის შეყრილობისა, ამ ფიქრში ვიყავი როცა დავინახე ერთი ჩემი ახლო ნაცნობი მათგანი პირი, რომლიდგან ყოველი გავიგე, თუ რისთვის იყვნენ შეკრებულნი. ამასთანავე ამასაც მოგითხრობ მკითხველო! მან კაცმან დაიწყო „მე დარწმუნებულსა ვარ, რომ ყველა მებატონეებმან იცით თუ ვლეხები რა მდგომარეობიდამ ვართ გამოსრულნი და მასთან რა თავის რჩ ნაც უნდა მეტადრე აგრე განუნათლებელ ხალხს; თუმცა ჩვენ შეგვიძლია მოვიწიოთ ჩვენ ჩვენი დღიური საზრდო პური, მაგრამ აქიდამ ხომ არა სჩანს, რომ ისიც შევიძინოთ, რაც ღვთისა და ხელმწიფისათვის საჭიროა. ამისთვის ჩვენ შევკრიბენით ჩვენის მამა სახლისის შემწეობით და ვარჩიეთ მომავალის ღონის ძიებაზედ, და კიდევაც გამოვირჩიეთ ჰაზრი, რომ ყოველმა თვითოეულმან კომლმან მოვიკრიფოთ ორ ორი მანეთი ფული, რომლიდგანაც შევადგინოთ რამოდენიმე ასი მანეთი, და შემდეგ ფულების შეგროვებისა ამოვირჩიოთ ერთი სანდო პირი იგივე ჩვენგანი, რომელსაც მივანდოთ ეს ფულები და ის კაცი უნდა იქმნეს ვალდებული მით რომელ ის წავიდეს ევროპაში ანუ დაიბაროს იმ ფულების შემწეობით ერთი ისეთი მცოდნე პირი, რომელმანც უნდა იცოდეს განსხვავებული რამე ზავოდების ანუ ფაბრიკების ხელოსნობა ჩვენდა სასარგებლოდ და მეორე მაგალითად რათა მიხედოს სხვებმაც ჩვენებრ მომავალს ღონის ძიებას. იქნება ღმერთი წაგვიძღვეს და მოგვანიჭოს ღონის ძიებითი რაიმე შეძლებაო! რა ეს დაასრულა გამომცხადებელმა და თავის ამხანაგთ მიმართა, ამ დროს მეც მივაყოლე პირველად დაყოვნებისათვის და მეორედ სასიამოვნო ამბისათვის მადლობაც და მასთან ღვთისადმი შევედრება, როგორათაც დაგიწყიათ, ღმერთმან ისრე აღგისრულოთ, საყვარელო მეგობრებო-მეთქი. და ის აღარ ვუწყი გაიგონა თუ არა, მაგრამ არა თუ იმ მინუტში, შემდეგშიაც სულით და გულით ვსასოებ განგებას, რათა მან მიანიჭოს მათის სურვილის აღსრულება ყოველს მათის აზრის მქონეს და თანაზიარს, ვინც გამოჩნდეს.—

წელს ღვინო და აბრეშუმი დავინახეთ ცოტა ოდენი ეს მე თე წელიწადი გადის, რაც იმის სარგებლობა თვალით არ გვინახავ დავაკლდით პირველსა და უკანასკნელს ღონის ძიებას იმით; ნამუშავერი კი ცოტათი ნაკლებ მოვიდა წელს ავის ტაროსების მიზეზით და წყალმაც ავნო.

ახალჩენელი ოტია ბერიძე.

1868 წელსა
იანვრის 13-სა.

(*) ესეც უნდა შევანიშვნინო მკითხველებს რომ ახალგაზდანიც არ არიან იმოდენ, დამნაშავენი და თავისი ინტერესი, როგორც ჩვენი დიდროვანი კაცები, მისთვის რომ მათ არ უყვარსთ სწავლული კაცი. ამათ რაც უნდა კარგი ჰაზრი ჰქონდეს დაუნდობელობისგამო იმდენი შეძლება არა აქვსთ რომ აღასრულონ, და ამისთვის ზრუნვენ თავიანთ პურისათვის.

## პოლიტიკა.

### ოსმალეთი.

სამხედრო მომზადება ოსმალეთში. ჰერცოგოვინიდგან იწერებიან, თუმცა დიდი ყინვებია, ოსმალები ძალიან გზების მომზადებას შესდგომიან ჯარის მისვლა მოსვლისთვის. ჰერცოგოვინაში ორი ათასი ჯარი მოუმატებიათ. ამას გარდა გვაცნობებენ, რომ მცირე აზიიდგან ბოლგარიაში, ბოსნიაში და ჰერცოგოვინაში დასაყენებლათ 10,000 ოსმალოს მილიცია (რედიფერი) მოსულა.

კანდიელების მდგომარეობა. კანდიელების მდგომარეობა ისევ იმ გარემოებაშია, როგორც აქამდის იყო. ისევ ისე განდგომილები მამაცურათ არ უთმობენ; ისევ უძლურობით დიდ ვეზირს ვერ დაუმშვიდებია არეულობა. კანდიის დროებითი მმართებლობის უცხო ქვეყნების კონსულებთან გაგზავნილს ორ წერილში აღწერილია ბოროტება და კაცის მკვლელელობა ოსმალებისაგან მოხდენილი, და აგრეთვე მოხსენებულია ყველა ომი, რომელიც ალი-ფაშის მოსვლის შემდეგ კანდიის კუნძულზე ყოფილა. ამასთან ამტკიცებს, რომ თუმცა დიდი ყინვებია კანდიაში და თუმცა ოსმალები ტყვილის ტელეგრამმებით ყველას აჯერებენ კანდიის დამშვიდებასა, მაგრამ მთელ კუნძულზე ისევ ადრინდელსავებ ამდგარია ხალხი. ამ ახლო ხანებში მოხდა ომი და ოსმალების მხრით ორასი კაცი ზოგი დაიჭრა, ზოგი დაიხოცა. კუნძულის აღმოსავლეთის მხარესაც სროლა იყო. 400 დაჭრილი და ავათმყოფი ოსმალო კოსტანტინოპოლში გაგზავნეს და დაიბარეს ახალი ჯარი მისაშველებლათ, თუმცა კუნძულზე 40,000 კაცი ჯარია. ეს რომ ასე დიდძალი ჯარია კანდიაში, რომელსაც გარეშემო ახვია მოდარაჯე გემები, ეს გვიმტკიცებს კანდიელების განდგომილების ძალასა.

### შეერთებული შტატები.

უკანასკნელი ამბავი ვაშინგტონიდგან. გაზეთებში დაბეჭდილია ვაშინგტონიდგან მოსული ქვემოხსენებული ამბები თებერვლის 25-დგან: „წარმომადგენელთ პალატაში შეიტანეს ბრალსადები აქტი პრეზიდენტ ჯონსონზე და პალატაში ჯონსონის დანაშაულობაზე ხმა მისცა 126 დეპუტატმა 47-ის წინააღმდეგ. პრეზიდენტი თავის ეპისტოლეში (წერილობაში) სენატისადმი მოიხსენებს

სახელმწიფო სამსახურში განწესების ბილლსა და შენიშნავს, რომ ეს ბილლი თუმცა პრეზიდენტს აღუკრძალავს იმისაგან დანიშნულის მინისტრების სამსახურიდგან გადაყენებასა, თუ სენატისაგან თანხმობა არა აქვს, მაგრამ რადგანაც ის, ჯონსონი, არას დროს სტენტონს მინისტრობას არ მისცემდა, ამისათვის წინათ პრეზიდენტისაგან დანიშნულის მინისტრის დათხოვნას ბილლის დამარღვეველ წინააღმდეგათ არ აღიარებს. ამასთანავე ეს ბილლი მთელმა კაბინეთმა სტენტონის მონაწილეობით აღიარა კონსტიტუციის უთანახმო. თითონ პრეზიდენტსა ჰსურს, რომ ეს საქმე რესპუბლიკის განვითარებულ მოსამართლეებმა გადასჭრან. პრეზიდენტი ცდილობდა თავისი ვალდებულება აესრულებინა, დაეცვა კონსტიტუცია და კონსტიტუციისაგან მინდობილი თანამდებობა აესრულებინა. კარგათ განხილვის შემდეგ შეუდგა საქმესა და ყურადღება არ მიაქცია რა წარმოსდგებოდა. სტენტონი ისევ სამხედრო მინისტრათ არის და იმდენი ჰქმნა, რომ დაატუსაღებინა ლორენზო ტომასი, რომელიც ჯონსონმა სამხედრო მინისტრათ დანიშნა. და დაატუსაღეს კოლუმბიის ოლქის (მაზრის) მოსამართლის განკარგულებით. უ. ტომასი იმუქრებოდა ძალით დაეჭირა მინისტრობის ადგილი, რომელზედაც პრეზიდენტმა დანიშნა. თავდებობით ახლა თავისუფალია და ახლოს ხანებში სამართალს უნდა წარუდგეს თავის თავის გამართლებისათვის. პენსილვანიის გუბერნატორმა ტელეგრაფით მისწერა იმავე შტატის წარმომადგენელსა სენატისას, რომ ჯარი მზათა ჰყავს კონგრესსის უფლების დასაცველათა. ჯარის რამდენმამე საზოგადოებამ აგრეთვე თავისი სამსახური გამოუცხადეს სენატორს-გენერალ ლოგანუს; ამის წინააღმდეგ მერილენდის მილიციამ აღუთქვა თავისი შემწეობა პრეზიდენტს ჯონსონს; პრეზიდენტის მომხრეობა აღმოაჩინა აგრეთვე ნუიორკის კანონმდებელ კრებამა.

ნუ-იორკიდგან თებერვლის 26 იწერებიან, რომ უუ. ტადეუსმა, ნევენსმა და ბინგენმა სენატში წარადგინეს ბრალსადები აქტი, დადებული წარმომადგენელთ პალატისაგან უ. ჯონსონის წინააღმდეგ და სთხოვენ, სენატმა უბრძანოს, რომ პრეზიდენტი წარუდგეს იმასა. პრეზიდენტმა მაშინვე საკუთარი კამისია დანიშნა ამ საქმის გასარკვევათა. კამისია შესდგება ექვსის რესპუბლიკელისაგან და ერთის დემოკრატისაგან. წარმომადგენელთ პალატამ მოიწონა ის გადაწყვეტილობა, რომლითაც აღეკრძალება წინადადების შეტანა და რომელიც ბრალსადებ აქტის განხილვას შეაყენებს; ამ აქტის ყველა სტატიების განხილვისათვის ერთი დღეა დანიშნული. დემოკრატიულ საზოგადოებაები, თავიანთში სამხედრო მართვას შეუდგნენ. ნიუ-ჯერსისა კანონმდებელმა კრებამ ბრძანება გასცა სახელმწიფოს შინაურ შიშიანობისაგამო, რომ გამოიკვლიონ შეიარაღების გარემოებანი. ამბობენ, რომ მანამ პრეზიდენტი სამართალში იქნებაო, თანამდებობის აღსრულება არ ჩამოერთმევაო. პრეზიდენტი სამართალში მალე მიეცემა. სამხედრო მინისტრი სტენტონი უზენაესს სამართალში არ გამოცხადდა, რომ დაემტკიცებინა ბრალეულობა ტომასისა; ტომასი სამართალმა გაანთავისუფლა და მაშინვე იმან საქმე დაიწყო სტენტონის წინააღმდეგ, და იმისაგან მოითხოვა 150,000 დოლლარი(*) თავის დატუსაღებისათვის. „ნუ-იორკის მოამბე“ ამსობს, რომ ჯონსონს ბრალი ედება კონსტიტუციისა და მოხელე პირთა კანონის დარღვევაში.

(*) დოლლარი ამერიკის შეერთებულ-შტატებში ხმარებული ფულია, ჩვენს ოცდა ხუთ შაურს უდრის.

## ტელეგრამმები.

პეტერბურღში მიღებული.

პარიჟი. თებერვლის 29 (მარტის 12-სა.) გაზეთი „ეპოკა“ ჰგონებს, რომ მამავალ სამშაბათს ბროშურა უნდა გამოვიდეს; როგორც ჰგონებენ ეს ბროშურა იმპერატორის დაწერილი უნდა იყოსო. ამ ბროშურაში იქნება გამოყვანილი იმპერატორის პოლიტიკა პროგრესიულათ მსვლელობა რაც მეორე იმპერია დაარსებულა და დამტკიცებით გამოხატული იქნება იმპერატორის ლიბერალური ჰაზრები, რომლისაც მიზანია, რომ ფრანციას მიეცეს სრული თავისუფლება.

ლონდონი. თებერვლის 27-ს (მარტის 10-ს). საზოგადოებათ პალატის სრულს კრებაში უ. მაქგვაერმა დაიწყო ბაასი ირლანდის საქმეზე. იმან გამოხატა ირლანდიის სატანჯველი და მოითხოვა (რადიკალური) საფუძვლიანი ცვლილება სარწმუნოებისა და ადგილ-მამულის საქმეში, ჰკიცხავდა ნახევრათ საქმის დაჭერას.

უ. ნეიტმა მოითხოვა, რომ ცვლილების სურვილი ერთ საკუთარ წინა დადებით გამოითქვას და სთქვა, რომ საზოგადოთ წამოთქმული ჰაზრი, უ. მაქგვაერის ჰაზრის მსგავსი, მავნებელია მშვიდობიანობისთვისაც და ირლანდიის კეთილ-მდგომარეობისათვისაც.

—გრაფმა მაიომ გამოაცხადა პალატაში, რომ მმართებლობა მომავალ კვირას წარმოადგენს ფორმის (ცვლილების) ბილლს შესახებ დეპუტატების ამორჩევის უფლებისა ირლანდიაში და აღდგომამდის მეორე ბილლ-შესახებ ირლანდიის რკინის გზებისა. მაიომ წარმოადგინა თავისი წინა დადება, რომ გლეხთ ხიზნობის (არენდის) და კათოლიკეთ უნივერსიტეტის გამართვის საქმეებისა გამოსაკვლევათ დაინიშნოს კამმისია. ამან დაუმატა, რომ ირლანდიაში სარწმუნოების მდგომარეობის საქმის გადაწყვეტა მომავალ სესსიას უნდა მიენდოს; მაგრამ ამასთან გამოაცხადა ჰაზრი, რომ თუ ირლანდიაში (სადაც ხალხი კათოლიკე სარწმუნოებისა), პროტესტანტის სარწმუნოების უფლება გაუქმდა, ამას მრავალი საშიშრო მდგომარეობა შეუდგებაო.

ირლანდიის საქმეზე ბაასი შემდეგისთვის გადასდევს.

ლონდონი, 1 (13) მარტს. საზოგადო პალატაში უ. ბორსმანი, ლოვი და ჯონ-სტუარტ-მილლი ჰკიცხავდნენ მმართებლობის პოლიტიკას და ირლანდიის შესახებ შინა საქმეთ მინისტრი გარდი მმართებლობას ამართლებდა. იგივენი ჰკიცხავდნენ კათოლიკეთ უნივერსიტეტის გამართვას ირლანდიაში. დანარჩენი ბაასი შემდეგისათვის გადასდევს.

დრეზდენი 1 (13) მარტს. გუშინ ნაშუადღევს მესამე საათზე კაროლის პრინცს დამბაჩით სროლა დაუპირა ერთმა. პრინცს არ მოხვდა ტყვია. დამნაშავე არის ხელოსანი ქოლგების მკეთებელი. დამბაჩა გატენილი ჰქონია.

ბერლინი, 1 (12) მარტს. პრინცი ნაპოლეონი გაემგზავრა ბერლინიდგან დრეზდენში.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 9 მარტს. სპარსეთისა, და ოსმალეთის საზღვარზე რომ უკმაყოფილება მოხდა, იმისაგამო აშლილობა ამ ორს სახელმწიფოებს შუა დაწყნარდა ნაძიკ-ფაშის შუამავლობით.

პეტერბურგი, 11 მარტს. მემკვიდრე ცესარევიჩი მივიდა ბერლინს 8 მარტს დილით 5 საათზე; დილით კაროლი და იმისი სახლობა ნახა; 2 საათზე კაროლი თვითონ მიიღო.

შინა-საქმის მინისტრი სტატს-სეკრეტარი ვალუევი იმის თხოვნისამებრ სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა, იმის ადგილზე პოჩტათა და ტელეგრაფთ მინისტრი ტიმაშოვი დანიშნეს.

გენერალ-ლეიტენანტი თ. თარხან-მოურავის-შვილი 2-რე კავკასიის გრენადერის დივიზიის ნაჩალნიკათ დანიშნეს, ღენერალ-ადუტანტის ბარონ ნიკოლაის მაგივრად, რომელიც თავის თხოვნისა მებრ ჩაირიცხა მისაშველებელს ჯარში და დაითხოვეს საზღვარს გარეთ.

39 დივიზიის ნაჩალნიკის თანაშემწე ლევაშოვი ამ დივიზიის წინამძღომელათ დანიშნეს

პოლშის სამეფო შინა-საქმეთა მმართებელი კამისია გაუქმდა და იმის გასამგებო ნაწილი იმპერიის დაწესებულებათა ხელქვეითი შეიქმნა. პოლშის სამეფოს ნამესტნიკმა დაახლოვებით თვალყური უნდა ადევნოს ამ მხარის ყველა გვარს მმართველობას.

პეტერბურგი. 11 მარტს. 9 მარტს მოცემულის სახელდებულის უმაღლესის უქაზით ბრძანება გაიცა, რომ პოჩტათა და ტელეგრაფთა სამინისტრო შინა საქმის სამინისტროში შეირიცხოს.

პეტერბურგი მარტის 14-ს, შინა საქმეების სამინისტროს მოხელენი წარუდგნენ ახალ მინისტრს ტიმაშოვს; მინისტრმა წარმოთქმულ სიტყვაში სამსახურის მოხელეებისა და ხელქვეითების ურთიერთობა განსაზღვრა რა სთქვა: „პატიოსანს, მტკიცე კაცის რწმუნებას პატივსა ვცემ, წინააღმდეგი სიტყვისა არ მეშინიან, მე მოვითხოვ იმასა და მიყვარს იმდენათ, რამდენათაც არ დავთმობ წინააღმდეგ მოქმედებასა, მეტადრე საიდუმლოებითის თვისებისას.“ ბოლოს მინისტრი მოითხოვს, რომ ერთს საქმეს ემსახურებოდნენ, ერთ ჰაზრისადმი მიილტვოდნენ.

პეტერბურგი, მარტის 15-ს. მემკვიდრე ცესარევიჩი მშვიდობიანათ მივიდა ნიცცას მარტის 13-ს საათის ექვსზე.

ვენის გაზეთი „Presse“ გვაცნობებს, ვითამც ფრანციის მმართებლობამ გამოაცხადა სურვილი, რომ ახლო ხანეში სხვა სახელმწიფოებთან ერთად, რომელთაც 1815 წლის ტრაქტატს ხელი მოაწერეს, განიხილონ ეს საქმე: რადგანაც წესდებულებაებმა გააუქმეს პოლშის სამეფო, ამ წესდებაების შესახებ რამ ღონის ძიება იხმარონ და ეს ღონისძიება რა გვარი უნდა იყოს.

პეტერბურგი მარტის 17-ს, ბავარიის ზოგიერთა ადგილებში ამღვრეულობა მოხდა. აღელვებულ ხალხმა მოიგერია ჟანდარმები და რატუშა დაანგრია.

## გარდინერის პროცესი.

(განგრძელება).

ეს სულ ტყუილი იყო; ბრიგმა და ფილიპსმა რომ აჩვენეს, გარდინერი ბრუნს გაჰყვა ტრახტირიდგან, ეს იმის გოგომაც დაამოწმა; იმან სთქვა, ისიც შევნიშნეო, რომ გარდინერმა თავისი ცოლი გაიხმო გვერდზე და რაღაც უჩურჩულაო. გამომძიებელნი შეუდგნენ იმის გამოკვლევასაც, რომ ბრიგგი და ფილიპსი მტრობენ თუ არაო მეტრახტირეს. ამაზე მთელმა სოფელმა უარი სთქვა: „არც გვინახამს და არც გაგვიგონია, რომ ამათ მეტრახტირესთან ოდესმე ჩხუბი მოსვლოდესთო; ეგენი მეტრახტირეს კარგათ ვერც კი იცნობენ, ამიტო რომ ძალიან ძვირათ დადიანო ამ სასტუმროში.

ამისთანა ამბავმა და იმანაც, რომ ჯენი შეშინდა, გამომძიებელი ჩააფიქრა: იქვე აილო, გარდინერი სწორეთ წმინდა არ უნდა იყოსო ამ საქმეში. იმან კიდევ უფრო დააჯერა, გამომძიებელი, რომ ჯილბერი ცხადათ ამბობდა, გარდინერია ბრუნის მკვლელიო; ის ამბობდა, დიდი ხანია, რაც მაგისთვის ეს განზრახვა შემიმცნევია, ბრუნისთვისაც ბევრჯელ მითქვამს და იმასაც ეშინოდაო მეტრახტირესი.

სასტიკად გაჩხრიკეს გარდინერის სახლი და თავლა. გარდინერის საუბედუროთ იმის სახლში იპოვეს კამოდის ძირის უჯრაში ბრუნის პორტფელი, პირამდინ ფულებით სავსე, შიგნი-შიგან საცვლებში იყო დამალული. ამას გარდა თავლის ბანიდგან ჩამოიღეს სისხლში მოსვრილი მჩვარი. ამ ნიშნებმა ჟენს ისეთი შიშის ზარი დასცეს, რომ სულ ერთიანათ გადირია: იმან გამომძიებელს ჯერ უთხრა, არ ვიცი ეგ პორტფელი ჩემ კამოდში ვინ ჩასდოვო, მემრე გამოუცხადა, რომ დერეფანში ვიპოვეო და კამოდტი ჩავსდეო, რადგან მეშინოდა არავის ენახა და ტყუვილათ დაეჩემებინაო. სისხლიანი მჩვრისაც ჯერ სთქვა არ ვიცი, ეგ იქ ვინ შეაგდოვო; მემრმე გამოაცხადა, რომ ამ სამი დღის წინათ ქათამი დავკალო, და როცა ვაკეთებდი სისხლი პოლზედ მოეცხოვო, მაგ მჩვრით ის სისხლი ავწმინდე და ბანზედ შევაგდეო. დაიბარეს აქიმი მჩვარი გაასინჯვინეს, მაგრამ ამან გამოაცხადა, რომ მჩვარზედ მინაცხები სისხლი ქათმისა კი არა, კაცისა არისო. უეჭველათ მკვლელს ამ მჩვრით შეუწყვეტია ბრუნისათვის სისხლი, როდესაც ის გარდინერის ეზოში მოჰკლონებია. ჟენის სიტყვა, რომ ვითომ ბრუნის პორტფელი კპოვნოს ორი მიზეზისაგამო დასაჯერებელი არ იყო: პირველი, რომ თუ ნაპოვნი იყო, მაშ რაღათ ამბობდა არ ვიცი ეგ კამოდში ვინ ჩასდოვო, მერე რომ თუ პატრონისათვის იმ პორტფელის მიბრუნება ეწადა, მაშ შიგნი შიგან რაღას მალავდა საცვლებში. ამ ნიშნებით რასაკვირველია უფრო კვალი მიიტანეს ბედკრულს გარდინერზე.—ამ დროს გარდინერიც დაბრუნდა ჩილტშირიდგან. მაშინვე ხელი სტაცეს და დაიჭირეს; გაუშინჯეს ყველაფერი და ჯიბეში ბევრი ფული უპოვეს. უეცრად კაცის მკვლელათ დასახვაზედ ის თითქოს, რომ შეკრთა. პირველათ აღარ იცოდა რა ეთქვა. მარტო იძახდა მე მაგ საქმისა არა ვიცი რაო. როდესაც გარდინერს ჰკითხეს გამოჰყვა თუ არა ისა, ბრუნი როდესაც ტრახტირიდგან გამოვიდაო იმან მიუგო, რომ არ მახსოვსო, ეგრეთვე ჰკითხეს იმ დროს ცოლისათვის ამბავი ხომ არა დაგიგდია რაო, მაგრამ გარდინერმა სთქვა არაფერი ამბავი არა დამიგდიარაო. ბრუნი და ფილიპსი პირდაპირ რომ წაუყენეს, გარდინერმა გამოაცხადა, რომ რაც აქამდინ ვსთქვი, სულ ტყუვილი არისო და ეხლა მართალს ვიტყვიო; მართალი ეს იყო, რომ გარდინერი ბრუნს მართლა უკან გამოჰყოლია, იქიდგან თავლაში ჩასულა ცხენის შესაკმაზავათ, 15 მინუტის უკან მობრუნებულა და ცოლისათვის ბრუნის პორტფელი მიუცია, ცოლისათვის უთქვამს ეს ბუმაჟნიკი დერეფანში ვიპოვეო და ხვალ პატრონს მიუბრუნეო. სისხლიან მჩვრის შესახებ კი გარდინერმა სთქვა არაფერი არ ვიციო. ჟენს წაუკითხეს ქმრის ჩვენება და ის მაშინვე ქმარს დაეთანხმა, სწორეთ აგრე იყოვო, მე რაც წინეთ ვსთქვი, ტყუვილი არისო.

გამომძიებლებმა ჰპოვეს რომ გარდინერი პოვნილის საბუთების ძალით ძრიელ მტყუვნდება ბრუნის კვლაში და თავის გასამართლებლათ ვერა ფერი ვერ შემოაქვს. ამისთვის გარდინერის საქმე საასსიზნო სამოსამართლოში გადასცეს, რომ იქ გადეწყვიტათ გარდინერს რა სასჯელი ეკუთვნოდა.

გაზაფხულზედ ჩილტშირში შეიყარნენ მომრიგებელი მოსამართლენი და დაიწყეს სჯა გარდინერის საქმის შესახებ. პირველათ წაიკითხეს აქტი, რომელშიაც გარდინერი მის მკვლელათ და მცარცველათ გამოჰყვანდათ, ეგრეთვე იმის ცოლსაც ამაში ამტყუვნებდნენ, რომ იცოდაო თავისის ქმრისაგან კაცის კვლა და დამალაო. მოსამართლეთ მოწმებს მოუწოდეს. ბიკს, ჯონს, ფილიპს, დუობრაის, ტეუელის, ბრიკსს, დიუკს, გარდინერის მესაქონლეს ქალს ჯენნის და მოკლული ბრუნის მოსამსახურეს ჯილბერს. ეგრეთვე მოუწოდეს აქიმებს: ჯოლჯს, რომელმაც ბრუნის სხეული შეამოწმა, პულეის, რომელმაც სისხლიანი მჩვარი გაშინჯა და ხიმიკოს ბრეისა.

მოწმეებმა სთქვეს:

ბიკსმა: „შუაღამის სამს საათზედ 22 თებერვალს შემომესმა ძრიელი კარების რახარუხი. კარები გაეაღე, ჯონი არახუნებდა. იმან მითხრა ბრუნი დაიკარგაო და ყველანი იმის საძებნელათ წავიდნენო, ჩაიცვი ჩვენც წავიდეთო. მე გავაღვიძე ჩემი ამხანაგი სამსონი და სამივ ტრახტირისაკენ გავემგზავრენით, გზაზე ფილიპსიც მოგვემატა. პირველათ გავედით მინდორზედ, ტრაქტირს და მწვანე სახლს შუა რომ არის. შუა მინდორზედ შევნიშნეთ გათელილი ბალახი, ამ ადგილიდგან ორი კვალი მოსდევდა; სისხლი კი ვერ შევნიშნეთ, რადგან ბნელოდა. მე ვსთქვი: „მივყვეთ ამ კვალს, იქნება ამან ბრუნთან მიგვიყვანოს“. სამსონმა, ფილიპსმა და ჯონმა დამიჯერეს, იმ კვალს მივყევით და ბარდინერის ღობესთან მივეიყვანა. ღობეზედ გადავედით და თაელაში შევედით; თაელა თავით ბოლომდინ დავათვარიელეთ, მაგრამ იქ ბრუნი არსად იყო, იქიდგან გამოვედით და შინ თავ თავის სახლში წასვლა დავაპირეთ. ამ დროს ჯონმა დაინახა თაელის ახლო თეთრი რაღაც, მწოლარე კაცის მგზავსი. მივედით და მისვლის უმალ ვიცანით ბრუნი იყო; მოკლული ეგდო თავდაღმა, იმის გვერდით ერთი გუბე შეტბორებული სისხლი იდგა. ბრუნის ტანთ საცმელი ორს სამს ადგილას დახეული იყო. მე მოვინდომე მკვდარი ამეწია, მაგრამ სამსონმა მითხრა, სჯობიან ჯერ კაცებს დაუძახოთო. ცოტა ხნის უკან მთელი სოფელი შეიყარა. სახლის მცველსაც შეატყობინეს. ამას შემდეგ მე და ჩემი ამხანაგები შინ წამოვედით და შემდეგ რა იყო, აღარ ვიცი“.

ჯონმა სამსონმა და ფილიპსმაც სწორეთ ასე სთქვეს. მოწმებმა ესეც მოუმატეს, რომ როცა მკვდარს ბრუნს ვშინჯავდით, შევატყეთ თითებს ბეჭდები აღარა ჰქონდაო, ბრუნი უბეჭდებოთ არსად გაივლიდა ხოლმე.

ბ ა რ დ ი ნ ე რ ი ს მ ო ს ა რ ჩ ლ ე. (ბიკს ჰკითხავს) საიდგან გამოგყავთ, რომ ვითომ ბრუნისათვის ბეჭდები წაერთოთ. განა თითებზედ ნიშანი ეტყობოდა?

ბ ი კ ს ი. არა, არაფერი ნიშანი არ შემინიშნავს.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ნამდვილათ გახსოვთ, რომ უკანასკნელს ღამეს ბრუნს ბეჭდები ჰქონდა ხელზედ?

ბ ი კ ს ი. სწორეთ, მახსოვს.

სამპსონი და ფილიპსიც დაემოწმნენ ბიკსს ამაზედ. ჯონმა კი სთქვა მე იმ ღამეს ბრუნი არ მინახავსო.

მოსარჩლემ ჰკითხა მოწმებს, ბრუნს თან საათი ჰქონდაო, თუ არა? მოწმებმა, ბიკსმა, ტეუელლიმ, ფილიპსმა, ბრიგმა და ღიუკმა ერთ ხმივ მიუგეს, ჰქონდაო.

მოსარჩლემ იკითხა. ქიდევ მინდორში კვალი საითკენ მისდევდაო. სხვებზედ ცხადათ ბიკსმა და ჯონმა მიუგეს ერთი კვალი ტრახტირის გამოსავალიდგან მწვანე სახლისკენ მისდევდა. ეს კვალი ორი კაცის ნავალს გავდა. ეტყობოდა, რომ უკანა კაცი წინ მსვლელის კვალს მისდევნებოდა, მაგრამ ზოგგან კი გვერდზე იყო ნავალი შუა მინდვრებიდგან, სადაც ძრიელ იყო ბალახი ნათელი, მეორე კვალი ბარდინერის თაელისკენ მოსდევდა. ეს კვალი ერთი კაცის ნავალი იყო, როცა ამ კვალებზე ნაფეხურები გაზომეს, ეტყობოდა, რომ ეს მეორე კვალი იმ კაცის იყო, ტრახტირიდგან მწვანე სახლისკენ რომ მისდევდა და უკან რომელსაც ველო. (ბრუნი ტრახტირიდგან რომ გამოსულა და შინ წასულა მწვანე სახლისკენ, მკვლელი უკან გაყოლია, მკვლელს შუა გზაზედ მოუკლავს ბრუნი ბარდინერის თაელისკენ წამოსულია და იქ დაუგდია.)

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. ნაფეხრები როდის გაზომეს?

ჯ ო ნ ი. როდესაც კარგათ გათენდა დილის 7 ან 8 საათზედო.

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. სხვა ვინლა დაესწრო გაზომის დროს?

ჯ ო ნ ი. მცველი, ჯილბერი და კიდევ სხვა რამდენიმე კაცი, არ მახსოვს, ვინ იყვნენ.

მოსარჩლე. ნაფეხურები როგორ გაზომეს?

ჯ ო ნ ი. ბიკსმა აიღო თოკი ნაფეხურის სიგძე გაზომა და გამონასკვა, შემდგომ განი გაზომა აი ამ ადგილას (თავის წაღაზედ აჩვენებს). ისიც გამონასკვა, ბოლოს მცველმა ეს ზომები დაახმანა ბრუნის წაღაზედ და ზომა შეინახა.

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. მცველმა თქვენთან დაახმანა ის ნაფეხურების ზომა ბრუნის წაღებს, ან ზომა კარგათ მოვიდა?

ჯ ო ნ ი. ჩემთან. დაახმანა. ბიკსი და ჯილბერიც იქ იყვნენ. ზომა ძრიელ სწორეთ მოვიდა.

ბიკსი და ჯილბერი დათანახმდნენ ჯონსა. შემოიყვანეს მცველი ბუშინი.

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. თქვენ დაახმანეთ ნაფეხურების ზომა ბრუნის წაღებს?

მ ც ვ ე ლ ი. მე დავახმანე.

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. ვის ბრძანებით ანუ რჩევით მოიმოქმედეთ ეგა.

მ ც ვ ე ლ ი. ჯილბერმა მსთხოვა.

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. ის ზომა კორონერს აჩვენეთ თუ არა?

მ ც ვ ე ლ ი. ის ზომა იმ აზრით შევინახე, რომ კარონერისათვის მეჩვენებინა; კარონერთან ის ხელ მეორეთ დავახმანეთ ბრუნის წაღებს და შემდგომ ბარდინერის წაღებიც გავზომეთ?

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. მერმე რა შეიტყვეთ იმ დახმანებით?

მ ც ვ ე ლ ი. ეს, რომ ბრუნის წაღა იმ კაცის ნაფეხურზედ მოვიდა სწორეთ, რომელი კაცის კვალიც ტრახტირიდგან მწვანე სახლისკენ მიდიოდა, ბარდინერის წაღა კი იმ კაცის ნაფეხურზე მოდიოდა სწორეთ, რომელიც კაცის კვალიც შუა მინდვრიდგან (სადაც ბალახი გათელილი იყო) თავისაკენ მოვიდა.

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. ამბობთ რომ ტრახტირიდგან მწვანე სახლისაკენ ორი კვალი მიდიოდაო, ერთი კვალი პირდაპირ და მეორე ცოტა გვერდზედ; იმ ორი კაცის კვალიდგან, რომელი კაცის კვალი მოდიოდა სწორეთ ბრუნის წაღებზედ.

მ ც ვ ე ლ ი. იმ კაცის კვალზედ, რომელიც პირდაპირ მისდევდა, ბარდინერის წაღა კი იმ კაცის კვალზედ, რომელიც ცოტა გვერდ გვერდ წასულა

მოსარჩლე. მინდორში მაგათ მეტი სხვა კვალები აღარ იყო?

მ ც ვ ე ლ ი. როგორ არა, ბევრი იყო.

მ ო ს ა რ ჩ ლ ე. ისინი კი არ გაზომეთ?

მ ც ვ ე ლ ი. არა. არ გაგვიზომია.

მოსარჩლე· ის სხვა კვალები ვილისი უნდა ყოფილიყო?

მ ც ვ ე ლ ი. აი ვისი, დილით შევიტყვეთ რომ ბრუნი ტრახტირიდგან საღამოზედ გამოვიდაო და მწვანე სახლში ჯერაც არ მოსულაო. ჩვენ ვიფიქრეთ გზაზედ თუ რამ შეემთხვა უბედურებაო, გამოვედით მინდორში მოვძებნეთ და აი ის კვალები იმისია.

მ ც ვ ე ლ ი. ჩვენება ერთ ხმათ დაამტკიცეს ბიკსმა, ჯონმა, ჯილბერმა ეგრეთვე კარონერის აქტიც ეთანახმებოდა იმას.

ბარდინერს ჯილბერმა უფრო წაუხდინა საქმე. როგორც ზევით ვსთქვით ჯილბერს ძრიელ სძულდა ბარდინერი და იმის ცოლი, მაგრამ იმას ეს სიძულილი უწინ არსად არ გამოუაშკარავებია. მსაჯულებმა ეს სრულებით არ იცოდნენ, და მაშასადამე უსაფუძლო იქნებოდა, რომ იმისი ჩვენება არ მიეღოთ. ჯილბერი ამტკიცებდა, რომ ბრუნს ჩემთან ბევრჯელ უთქვამსო, რომ ბარდინერისაგან ძრიელ ვიშიშვიო. ჯილბერმა სთქვა?. ერთი კვირის წინეთ, მინამ ბრუნს ეს უბედურება შეემთხვეოდა; მე ღამის ორ სათამდინ ველოდე ჩემს ბატონს, მერმე გამოველ და გავსწივე, ბრუნიც მოდიოდა შინისკენ ძრიელ გაჩქარებული. იმას უკანიდგან ვინღაც კაცი ეპარებოდა, მე ვიცან, რომ ის ბარდინერი იყო. ბარდინერმა მხოლოთ მაშინ შემნიშნა, როცა ბრუნს დაუპირდაპირდი, და ძრიელაც შეკრთა. მე ვკითხე ბარდინერს ვინახარ მეთქი. ბარდინერმა ხმა არ ამოიღო და გავვშორდა. როდესაც შინ მოვედით ბრუნი ძრიელ ფერ წასული იყო; მე ვკითხე: აგრე რათა ხარ მეთქი; ამაზედ ეს მიპასუხა! მე დარწმუნებული ვარო, რომ ბარდინერს ჩემი მოკვლა სწადსო, ხომ მხედავ, როგორი მთვრალი ვარო, ბარდინერმა განგებ და მათრო, რომ უფრო ადვილათ მომრეოდა“.

---

## პოეტური გაკვეწლა.

ამ წლის „დროების“ 3-ე ნომერში წავიკითხეთ სტატია, სათაეით: „ორიოდე სიტყვა კნ. ბ. ჯორჯაძისა“ სტატიაზედ მოწერილია: „თავ. აკაკია წერეთელი“.

ჩვენ გვეგონა, რომ ამ სტატიით ავტორი კრიტიკულად გაარჩევდა კნ. ბ. ჯორჯაძის, თხზულებაებს, დაგვიხატავდა პოეტის იდეალებს ანუ იდეებს, ასწონდა მის პოეტურ ტალანტს და, ბოლოს, ღირსეულ ადგილს მისცემდა ჩვენს ღარიბს ლიტერატურაში. მაგრამ,-შენ არ მომიკვდე, მკითხველო!-ჩვენი იმედი და ლოდინი კიდევ ამაოდ დარჩა!

თავადი (*) აკაკი წერეთელი არ საჭიროებს ზემოხსენებული კრიტიკის ვალის ასრულებას და, როგორც ავტორი ამბობს, „არ ვალდებულობს პირად-პირადად ლაპარაკს“ კნ. ბარბარე ჯორჯაძესთან, ის, მხოლოდ. შეიარაღებული პოეტურ ღრუბლებით ჭმოსავს კნ. ბ. ჯორჯაძისას იმავე პოეტურ ღრუბლებით და ჰგზავნის საქართველოში, რომ მან აწვიმოს და უხვად დაალბოს გოლვისაგან დამწვარ-დახრაკული საქართველოს ნიადაგი! მერმედ ავტორი მოჰყოლია და აჭრელებს ქალების ემანსიპაციაზე და ვალდებულებაზე, ძალიან ჰსურს, რომ საქართველოში ჩვენს ქალებს . . . . . მეტი არა ფერი შეუძლიანთო, მაგრამ ეს ქალისათვის საკმაო არ არისო: „იმათ (ქალებმა) უნდა დანერგონ ჩვენში სიყვარული, ამბობს ავტორი, და აღგზნან ჩვენს გულში ტრფიალება, მაგრამ ოცნებითი სიყვარული კი არა, არა, ის სიყვარული, რომელიც აპატიოსნებს კაცს და რომლის საფუძველი არის პატიოსანი შრომა და განათლება“! ბოლოს, ავტორი თუმცა ძალიან ჰსწუხს, რომ საქართველოს მოაკლდნენ ის სოფიოები, რომლებზედაც ქვითინებს ნ. ბარათაშვილი, მაგრამ თითო-ოროლა სოფიოებთაგანი ახლაც იპოებიან ალაგ-ალაგ, რომელნიც ვარსკვლავებივით ბრწყინავენ და იმედოვან კეთილ მუშაკის გულს ახარებენ; იმ თითო-ოროლა ბრწყინვალე ვარსკვლავებთაგანში უპირველესი ადგილი უკავია კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას, სავსეს ყოველივე ღირსებაებითა, რომლის განმარტება ზემოთ მოყვანილ სიტყვეით დაგვიხატა ავტორმა.

თავადი აკაკია წერეთელი, დასამტკიცებლათ არის, რომ კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა სავსეა ყოველივე ღირსებაებითა და ღირსია პოეტი-წერეთლის ქებისა, გვგზავნის ჩვენ, უბრალო მომაკვდავებს, წასაკითხავად კ. ბ. ჯორჯაძის ლექსისა „დედა შვილს“, რომ შევიტყოთ, მართალს ამბობს თ. აკ. წერეთელი თუ არა?

ჩიკოლიკიც (*) ასე ამბობდა: ბი[illegible] მშვენიერი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი არისო; ჩემგნით დამტკიცება ნუ გინდათო, წადით, წაიკითხეთ მისი თხზულებაებიო და მაშინ თქვენ თითონ დარწმუნდებითო, რომ მართლად და ღირეულად ვაქებო!

ჩვენ, უბრალო მომაკვდივებს, გვსურს ვჰკითხოთ თ. აკ. წერეთელს, რისთვის ან რაზედ დაჰსწერა თავისი სტატია? საქართველოს გვალვაზედ, ქალების ემანსიპაციაზედ თუ კნ. ბ. ჯორჯაძის თხზულებაების გასარჩევად და მის ტალანტის დაფასებისათვის? ავტორს რომ დაუჯეროთ, ის ერთი კალმის გაქნევით ყველაფერზე ლაპარაკობს და ამტკიცებს; მაგრამ, მკითხველო, თუ ჩვენ სკეპტიკურ თვალით გადავავლებთ მის სტატიას, მაშინ ჩვენ idèe Phixe-ის მეტს ვერას გამოვიტანთ რას, მთელი სტატიაც თავის თავად იფუშება. რა საკვირველია, ჩვენს სიტყვებს დამტკიცებაც უნდა და ვეცდებით კიდეც დავამტკიცოთ.

როდესაც რომელიმე რიტორიკი იწყებს ლაპარაკს რომელსამე მწერალზედ, რაზედ უნდა მიექცია თავისი ყურადღება ან რა უნდა გაარჩიოს კრიტიკოსმა: მწერლის კერძო ცხოვრება თუ მისი თხზულებაები? როდესაც მე ვკითხულობ „კაცია ადამიანს„ ან ვლაპარაკობ ლუარსაბ თათქარიძეზედ, როგორც ჩვენი საზოგადოების სენის და ნაკლულევანების წარმომდგენელზედ, რაზედ უნდა ვფიქრობდე მე ამ დროს: იმაზედ, რომ „კაცია ადამიანის“ მოქმედი პირები საზოგადოთ და ნამეტნავად ლუარსაბ თათქარიძე ნამდვილი ჩვენის ცხოვრებიდამ არიან აღებულნი და არა ავტორის ფანტაზიის შექმნილი თუ არა—თუ იმაზედ, რომ ილია ჭავჭავაძე, ავტორი „კაცია ადამიანისა“ კარგი და განათლებული კაცია, გულკეთილი და მშვიდი მამა თავის შვილებისა და სხ. და სხ., ამიტომ რომ იმან დასწერა „კაცია ადამიანი“?

თ. აკ. წერეთელი, როგორც ეხედავთ, მეორე შემდეგს ხმარობს, როდესაც ის ლაპარაკობს კნ. ბ. ჯორჯაძისზედ; მაგრამ ჩვენკი ამაზედ სრულებით თანახმანი არა ვართ,

ჩვენის ჰაზრით, თუ კრიტიკი არჩევს რომელიმე წერილის თხუზლებას ანუ, ვსთქვათ, მოთხრობას, უნდა ეცადოს, კარგად უნდა გაჩხრიკოს და შეიტყოს, რაოდნათ ის მოთხრობა ჩვენს ნამდვილს ცხოვრებას უახლოვდება, კარგათ არიან გადმოხატულნი ქაღალდზე ნამდვილ ცხოვრებიდამ აღებულნი მოქმედი პირები მოთხოობისა, თუ არა, რა ჰაზრების მქონენი ანუ წარმომადგენელნი არიან ისინი, რა ნაკლულევანება ანუ ღირსება გამოჰსჭვირა მათ ცხოვრებიდგან და სხ. და სხ. კრიტიკოსს შეუძლია შეეხოს მოთხრობის დამწერს იმოდნათ, რაოდნათაც თვით დამწერი შეეხება თავის მოთხრობას, ე. ი. თანა უგრძნობს თავის გამოყვანილ პირებს თუ არა და სხ. მაგრამ კრიტიკოსს არა ფერი უფლება და ვალი არა აქვს ილაპარაკოს ბეჭედით მოთხრობის დამწერის კერძო ცხოვრებაზედ „იმას არ შეუძლია მოთხრობიდგან გამოიყვანოს ის შემდეგი, რომ ესა და ეს კაცი, ამა და ამ მოთხრობის დამწერი ძრიელ ჭკვიანი და განათლებული კაცია, კეთილი და სხ. ისე, როგორც იმავე მოთხრობიდგან არ შეუძლია ჰსთქვას, ავტორი ბრიყვი და სულელია, გაუნათლებელი და უსწავლელია. ავტორი-სხვაა და მისი თხზულებაც სულ სხვა არის: შეიძლება, რომ მწერალიც—როგორც მწერალი—ძალიან კარგი იყოს, მაგრამ, როგორც კაცი კი —არა; აგრეთვე ისიც შეიძლება, რომ მწერალი—როგორც მწერალი—არ ვარგოდეს, მაგრამ, როგორც კაცი კი, ძალიან კეთილი და განათლებული იყოს. დასამტკიცებლათ, მე შემიძლია მოვიყვანო მაგალითი რუსულ ლიტერატურისაგან: განსვენებული პომიალო-

(*) საზოგადოთ ლიტერატურაში მიღებულია: როდესაც რომელიმე სტატიის ავტორზე ლაპარაკობენ, აწერენ: უფალი №-ი, ამა და ამ სტატიის ავტორი და სხვ. ლიტერატურა არ არჩევს ტიტულებს; მაგრამ, რადგანაც თ. აკ. წერეთელი ლიტერატურაშიაც თ ა ვ ა დ ო ბ ს, ამისთვის ჩვენ არა გვსურს მისი თავადური ღირსება უბრალო მომაკვდავის ღირსებასთან შევათანასწოროთ. ავტ.

(*) მგზავრის წერილები.

ვსკი (Помяловскій) ძლიან კარგი რუსის მწერალი იყო; იმავე პომიალოვსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე სიმთვრალეში გაატარა და იმავე სიმთვრალით მოკვდა; მაგრამ არც ერთს რუსის კრიტიკს არ უძაგებია და არ გაულანძღავს პომიალოვსკი სიმთვრალისათვის, როდესაც მის თხზულებაებს კრიტიკულად არჩევდნენ, ისინი ახლაც დიდი პატივის ცემით მოიხსენებენ ხოლმე პომიალოვსკის სახელს ავტორს, „Молотовъ„—ისა და „очерки Бурсы—სა.

ჟველამ ვიცით, რა განთქმული პოეტია და პირველი თანამგრძობი და რუსეთის ხალხის დარდების გამომთქმელი—უფ. ნეკრასოვი. (Некрасовъ); მაგრამ იგივე ნეკრასოვი, როგორც ამბობენ, კერძო ცხოვრებაში ბეჯითი არ არისო რომელს რუსის კრიტიკს უძაგებია და მის კერძო ცხოვრებას შეხებია,„როდესაც მის ლექსებს არჩევდნენ? აგრეთვე რომელს რუსს არ დააფიქრებს ნეკრასოვის გულ-დამწყვეტელი და დასაფიქრებელი ლექსები, როგორც „ფიქრები საპარადო მისავალთან“, „ფილანტროპი“ და სხ.

მგონია ეს ორი მაგალითიც საკმაოა ჩვენის სიტყვების დასამტკიცებლად. მე შემეძლო ორიოდე მაგალითების მოყვანა ჩვენის ლიტერატურიდგანაც, მაგრამ მე არაფერი უფლება არა მაქვს შევეხო ჩვენი მწერლების კერძო ცხოვრებას.

აბა ახლა შევხედოთ. მკითხველო, რა საბუთებით წინამძღომელობს თ. აკ. წერეთელი, როდესაც ის აქებს კნ. ბ. ჯორჯაძისას? როგორც ვხედავთ ის მის თხზულებაებსაც არ არჩევს; მხოლოდ მის სტატიებიდგან და ნამეტნავად ლექსიდგან „დედაშვილს“ გამოჰყავს, რომ კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა განთქმული და სავსე ყოველს ღირსებაებით ქალია, რომლის ბადალი ძვირათ მოიძებნება საქართველოში!

შეიძლება, რომ მართლათაც ამისთანა ქალი იყოს, მაგრამ თ. აკ. წერეთელს მაინც არ შეეძლო ბეჭედით ეთქო შესახებ მის კერძო ცხოვრებისა და ღირსებაებისა. თუ თ. აკ წერეთელი დაუმტკიცებლათ და სრულებით უადგილოთ აქებს კნ. ბ. ჯორჯაძისას, მაშ მეც შემიძლია სრულებით უადგილოთ და დაუმტკიცებლათვე ვაძაგო ჩვენი პოეტები, ჩემი სურვილის ასასრულებლათ, მოვიყვან უკანასკნელ კუპლეტს თ. აკ. წერეთლის ლექსისა „ფუტურო“, რომელიც მე ჩემებურად გადავაკეთე. აი ეს ლექსი:

არიან ჩვენში დღეს პოეტები,
სიტყვით თუმცა ბევრს გვიქადაგებენ;
მაგრამ თვითონ კი, დალოცვილები
მთელს თვით სიცოცხლეს ცრუათა ჰსწირევენ!

რას იტყვი, მკითხველო, ჩემგნით ზემოთ მოყვანილ კუპლეტზე? განა ჩვენ შეგვიძლია ამ გვარათ ვჰსაჯოთ ჩვენი პოეტები? თქვენისა არ ვიცი და მეკი იმ კუპლეტის წინაალმდეგი ვარ. ჩემთვის სრულებით საჭირო არ არის ვიცოდე, როგორ ჰსწირევენ ჩვენი პოეტები თავიანთ სიცოცხლეს: „ცრუათ“ თუ „უცრუოთ“. მე მინდა მხოლოდ შევიტყო, რას და როგორ ქადაგობენ იგივე პოეტები? ჩემთვის ესეც საკმაოა. მე არ ვიცი, თითონ როგორ ცხოვრობს ილია ჭავჭავაძე ანუ აკ. წერეთელი და ცოდნაც ჩემთვის საჭირო არ არის; მაგრამ მე ვიცი, რასაც სწერენ იგივე პოეტები. მე შემიძლიან ვსთქვა, რომ ი. ჭავჭავაძე კარგი პოეტია; მის თხზულებაებს კარგი მნიშვნელობა და გავლენა აქვსთ ანუ ექმნებათ როგორც ჩვენს ლიტერატურაში, აგრეთვე ჩვენს საზოგადოებაშიაც; მაგრამ მე ვალი და უფლება არა მაქვს, ვილაპარაკო ბეჭვდით, კარგი თუ ავი კაცია იგივე ჭავჭავაძე და სხვ.

მაშ შეუძლია თ. აკ. წერეთელს აქოს კნ. ბ. ჯორჯაძისა მაშინ, როდესაც მისი თხზულებაები არ გაურჩევია? ან შეეხოს მის კერძო ცხოვრებას, ე. ი. ბეჭვდით ილაპარაკოს მის ღირსებაზე, კარგს და კეთილ დედაზე თავის შვილებისა და სხ. თუნდა მაშინაც, როცა მისი თხზულებაები გაერჩიოს? სრულებითაც არა!

ჩვენ გვეტყვიან, რომ თ. აკ. წერეთელს ამ სტატიით კნ. ბ. ჯორჯაძის თხზულებაების გარჩევა არ ჰსურვებიაო. უფრო კარგი! თუ ასეა, თ. აკ. წერეთელს არ უნდა დაეწერა სტატია იმნაირ სათავით და თუ ჰსურდა ლაპარაკი ჩვენი ქალების მდგომარეობაზედ, მაშინ უმჯობესი იქმნებოდა და ჩვენც დაუმადლებდით, რომ დაეწერა ვრცელი სტატია ქალების აღზრდაზე, მათ ვალდებულებაზე და მათ ჭეშმარიტ დანიშნულებაზე. მაშინ ჩვენც სიხარულით წავიკითხავდით სტატიას. ახლა კი რას ვხედავთ? იმას, რომ ავტორი ორ კურდღელს ერთად დაედევნა და ვერც ერთი ვერ დაიჭირა!

თ. აკ. წერეთელს, როგორც ეტყობა, ძრიელ მოსწონს კ. ბ. ჯორჯაძის ტალანტი, დიდს სიბრძნეს ხედავს მის თხზულებაებში და ამბობს, რომ „მართალია ევროპიული მნიშვნელობა კი არა აქვს რა მის სტატიებს; მაგრამ იქიდამ ცხადათ მოსჩანს, რომ მათ ავტორს სხვებსავით არა აქვს უბრალოთ გული გაქსუებული, მაგრამ კეთილად ამოქმედებს თავის გონებას და განჭვრეტაც საგნების რიგიანი და მართალი აქვს“. იმის დასარწმუნებლათ, რომ მართლად კნეინა ბარბარე ჯორჯაძისას სხვებსავით გული გაქსუებული არა აქვს, თ. აკ. წერეთელი გვგზავნის ჩვენ „ცისკრის“ ნომერში, რომ გამოვძებნოთ და წავიკითხოთ ლექსი „დედაშვილის“.

თუმცა ამ გვარ რეკომენდაციას გვიკეთებს იმისთანა პოეტი, როგორც აკ. წერეთელი, ავტორი „მუშურისა“ „ფარისევლისა“ „სალამურისა“ და სხვ. მშვენიერ ლექსებისა, მაგრამ ამ ჯერობით ჩვენ არ დავეთანახმებით მას და გვგონია, რომ კნ. ბარბარე ჯორჯაძისას, არა თუ ევროპიული მნიშვნელობა, არამედ ვეჭვობთ, რომ მას ჩვენს ლიტერატურაშიც რაიმე მნიშვნელობა ექნებოდეს! ჩვენ გვიკითხავს კ. ბ. ჯორჯაძის სტატიები და კომედიები; ჩვენ ისიც ძალიან კარგათ გვახსოვს, რა საბრალო როლს თამაშობდა კნ. ბ. ჯორჯაძისა 1861 წელში ქართული ლიტერატურისა და „ცისკრის“ გამარგვლის დროს! მის სტატიების კითხვით ჩვენ ვერ შევამცნიეთ მასში ხეირიანი მიმართულება; მის კომედიების და დრამების მოქმედი პირები უფრო ავტორის ფანტაზიის შექმნილნი არიან, ვიდრემც ჩვენი მიწის აღმოცენებულნი და გაზდილნი შვილნი. მართალია, ცოტა ტალანტი კი აქვს კნ. ბ. ჯორჯაძისას, მაგრამ, ვაი, რომ მისი ტალანტი უფრო ემსახურება ხელოვნებას მხოლოდ ხელოვნებისათვის!

ჩვენ არ ვკისრულობთ კ. ბარბარე ჯორჯაძის თხზულებაების გარჩევას, ამიტომ რომ მისი თხზულებაები სწორე კრიტკას ვერ გაუმაგრდებიან, ისე, როგორც კრიტიკის ღირსნი არ არიან დიმ. ბერიევის ლექსები და ბრი. რჩეულოვის რომანები. თუ მაინც და მაინც თ. აკ. წერეთელი გაარჩევს კნ. ბ. ჯორჯაძის თხზულებაებს და დაუწყებს კიდევ ქებას, მაშინ ჩვენ ვეცდებით მკითხველს დაუმტკიცოთ.

მ. ბეთანელი.

14 ფებერვალს.
პეტერბურღს.

## პატივცემულს „ცისკრის“ რედაქციას!

მარტის „ცისკრის“ ნომერში იყო გამოცხადებული მხურვალე გოდება, რომ „დროებამ“ ისე რათ გადაბეჭდა წარჩინებული ლექსი „იმედი“, რომ ისიც არ მოიხსენა, საიდგან გადაბეჭდაო. სწორეთ მოგახსენოთ, სრულებითაც საჭირო არ იყო ამის მოხსენება, ამიტომ რომ „დროების“ რედაქცია თვითონ იცნობდა ღირს პატივცემულს იმ ლექსის ავტორსა, რომელმანაც მისცა ნება „დროებასა“, რომ ეს ლექსი დაებეჭდა და კორრექტურის დაჭერაც (გასწორებაც) თვითონ ავტორმა ინება. რაკი ავტორის სურვილი იყო, „ცისკარშიაც“ რომ არ ყოფილიყო დაბეჭდილი ეს ლექსი, „დროებაში“ მაინც დიიბეჭდებოდა. მაშასადამე „დროება“ სრულებით საჭიროთ არ რაცხდა მოეხსენებინა „ცისკრიდგან“ გადაბეჭდვა ამა ლექსისა, მით უფრო, რომ ცხადათ ვიცით ეს თხზულება კანტრახტით „ცისკრის“ საკუთრებათ არ ქცეულა. ხოლო რაიცა შეეხება იმას, რომ „ცისკარს“ ამოუკრებია შემთხვევით მომხდარნი შეცდომილებანი და ჰფიქრობს, ვითომც ეს „დროების“ რედაქციის ბრალი იყოს, სრულებით შემცდარია ამაში პატივცებული „ცისკრის“ რედაქცია და თვითონ „ცისკრის“ რედაქტორიცა. ეს შეცდომილებანი უფრო ჩქარი მუშაობის ბრალია. არც ერთი ნუმერი „დროებისა“ და „ცისკრისა“ ჯერ ისე არ გამოსულა, რომ ასოების მეტ-ნაკლებულობისა გამო, აზრი ალაგ-ალაგ არ იყოს გაფუჭებული და შემლილი; მაგრამ რა ვქნათ! უნდა მოვითმინოთ იმდრომდის, როცა ქართულს ენაში უფრო დახელოვნებული ამწყობნი გვეყოლებიან. მანამდის კი ამისთანა შეცდომილებანი ჩვენს ჟურნალებს და წიგნებს არ მოაკლდებათ.

სწორეთ მართალია, რომ ვ ი ძ ი ნ ო ს მაგიერად, ვ ი ძ ი ო უნდა იყოს; მაგრამ ამასაც ყველა მიხვდება, რომ ამწყობს აწყობის დროს ასო ნ ჩაუმატებია და კორრექტორს, ესე იგი გამსწორებელს, თვალი გადაუცდენია. აგრეთვე შ ე ნ თ მაგივრად უნდა იყოს შ თ ე ნ ი, მაგრამ ცხადია, აქ ამწყობს ასო ი დაუკლია, ისე როგორც ზემოთ ასო ნ მიუმატებია და გამსწორებელს ჩქარს კითხვაში კი ველარ შეუნიშნავს, რომ გაესწორებინა.

პატივცემული „ცისკრის“ რედაქცია რომ ასე მწარეთ გოდებს ამ შეცდომებზე, უეჭველად უნდა ვიფიქროთ, თვითონ ისე დაბეჭდავდა იმ ლექსსა, რომ ერთი შეცდომაც არ ექნება. ვნახოთ და მაშინ შევიტყობთ, მართალია თუ არა ესა:

„ცისკარშია“: „გმირო სცან ტკბილი განსვენება....“; უნდა იყოს: „ზმირო სცან ტკბილი განსვენება....“. „ცისკარშია“ „მკ შემოქმედის განკიცვასა....“ უნდა იყოს: „მე შემოქმედის განკიცხვასა„..“. „ცისკარშია“ „თიხად ვიქცევი....“ უნდა იყოს „მიწად ვიქცევი“. თიხა არის ერთი მიწის გვართაგანი არსება: ხოლო მიწა საზოგადოთ ეწოდება მთელს დედამიწის ზურგს თავისი ქერქით და გულით: ქვა, ქვიშა, თიხა, კირი და სხვა ყოველგვარი მადნეული სულ ერთიანათ მიწაა. იტყვიან კაცი მიწად იქცევა და არა თიხად იქცევა. „ცისკარშია“ „მიკწვდ“ უნდა იყოს „მიგწვდე“. „ცისკარშია „განვსჭრიტო“. უნდა იყოს: „განვსჭვრიტო“. „ცისკარშია“: „მაშან“ უნდა იყოს „მაშინ“. „ცისკარშია“: „ფერხთ-მიწას“ უნდა იყოს: „ფერხთ მტვერსა“ და სხვა. ჩვენ ეს შეცდომილებანი მოვიყვანეთ იმისთვის კი არა, რომ რედაქციას ქართული ენის უცოდინარობა შევწამოთ, არა. ეს კორრექტურის შეცდომაა. მაგრამ გვინდა დაუმტკიცოთ, მკითხველებს, რომ ამისთანა შეცდომილებათა პატრონს მწარე გოდება არ შეჰშვენოდა და კიდეც გაგვიკვირდებოდა, თუ ის წყაროც არ გვცოდნებოდა, საიდგანაც წარმოებს „ცისკრის“ რედაქციის გოდება. საწყალს მთელს თავის სიცოცხლეში ერთი ხეირიანი ლექსის დაბეჭდვას ელირსა და ვნახოთ, ისიც იმავე კვირაში „დროებაში“ დაიბეჭდა. ამის მნახველს „ცისკრის“ რედაქციას ზაფრის ქარები აუტყდა და ტირილი დაიწყო: თუ კი „ცისკარს“ ხეირიანს არაფერს შეარჩენენ, მაშ „ცისკარიც“ რაღა საჭიროაო?—სწორეთ მოგახსენოთ, მაგდენი არაფერი, თუ შემდეგაც იმისთანა გაჭირვებული ცხოვრება განაგრძო, როგორიც აქამდის ჰქონია.

## ზ ა ფ ხ უ ლ ს!

ოჰ! ზაფხულო! სანატროვ,
შენ მამშვენო ყოვლისა!
შენ საამოვ და ტკბილო
ღირსმც—ხარ მარად ხსოვნისა.

უწყალოის ზამთრისგან
დამჭკნართ ყვავილთ აღყვავებ;
ბაღში ვარდთა იათა
თვალთ საჩინოდ აღზავებ.

დიდსა მთებსა და კლდესა,
თოვლისაგან დახშულსა
ზანსწმენდ დაგანამშვენებ,
მწვანვითა ჰყოფ აღვსილსა.

რომლის გამო მონადირეთ
ანეტარებ, ახარებ.
ოდეს მთისა კალთა პირებთ
მათ საამოდ უმზადებ.

ვითარ ჯერ-არს, ზადლობას
ბძლვნიან, თაყვანსა გცემენ
მაცხოველად და მზრდელად,
ზაფხულო! შენ გიმზერენ.

ტყეთა ასხამ ფოროთოლთა
და მით მასვე ამშვენებ,
რომლის გამო ფრინველთა
ტკბილათ ასტვენ, აჰრტინვებ.

ამ ძალს მაცხოველებელს
ზიქებ თუცა ქმნულება
მაგრა შენსავ—ცვლილებას ძლიერ-დამამძიმებელს
ჰმონებს ნაყოფთ თვისება.

ზოგჯერ დასცემ ხორშაკთა
ვიდრე დანაცრებადმდე;
უსასოდ ჰყოფ მუშაკთა
ქვლავლა აღყვავებადმდე.—

მ ე გ რ ე ლ ი.

1 თებერვალი.
1868 წ.

## მ Ე Გ Რ Ე Ლ Ს!

ამ ზაფხულის მშვენებას და სატრფო მიზეზებს
ჯერეთ მცირედ განმსჯელი თუმც აღწერად ვერ მძლევებს;
მაგრამ სადაც სურვილი რისადმი როს გულს ზიდავს,
რაც ღონე აქვს საქებრად, მას მიართმევს, შესწირავს.
მისთვის ფიქრობს, მას ხედავს. ის ახლოვს და ის სწყურის:
ჰსტკბება მისის ხსენებით, აქვს იმედი დასტურის.

დავით დადიანი.—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го марта 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.